2023

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	10

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
1. ძირითადი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	22
6. ძირითადი საშუალებები	24
7. ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	25
8. მარაგები	25
9. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	25
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	26
11. სავაჭრო ვალდებულებები	26
12. გადავადებული შემოსავალი	26
13. კაპიტალი	26
14. შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	27
15. საკონსულტაციო ხარჯი	27
16. სხვა შემოსავალი	27
17. პირობითი ვალდებულებები	27
18. ფინანსური რისკი	28
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება	31

MOORE

MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str.,
0160, Tbilisi, Georgia
T +995 32 2 000 123
E info@moore.ge
www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისაგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„პირობითი მოსაზრების საფუძველი“*, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მდომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული რეზერვი წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების შეფასებულ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების გადაფასებამდე არსებული ისტორიული ღირებულების ნაშთზე, რადგან კომპანიამ ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებების მოწოდება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა რეზერვის მაჩვენებელის ნაწილზე, რაც ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალურ ანგარიშგებებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 8,868 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 8,454 ათასი ლარით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების აუდიტი - კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტირებული იყო სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელმაც 2022 წლის 22 სექტემბერს გამოსცა პირობითი მოსაზრება შემდეგი მიზეზის გამო:

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გადაფასების მოდელს იყენებს. კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების გადაფასება 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. კომპანიას ეს ღირებულებები ასახული აქვს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის 30 აგვისტოს დამოწმებულ და გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე, შემფასებლის ანგარიშში გაურკვეველია, თუ შეფასების რა მეთოდებით იხელმძღვანელა შემფასებელმა რეალური ღირებულების განსაზღვრისას, იქნა თუ არა და შეგროვებული სათანადო მტკიცებულებები და თუ იქნა - რა წყაროებიდან, მოხდა თუ არა აქტივების სასიცოცხლო ვადების ანალიზი და რა ვადები დადგინდა. აღწერილი გარემოებების გამო, შეუძლებელია დავასკვნათ რა მეთოდით იხელმძღვანელეს შემფასებელმა და კომპანიის ხელმძღვანელობამ შეფასებული აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ განახორციელა მის ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაფასება (რაც ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 15,159 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 14,987 ათასი ლარით). რაც შეეხება ძირითადი საშუალებების დარჩენილ ნაწილს (რომლის ნეტო საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 840 ათასი ლარით, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 469 ათასი ლარი), ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მათი ღირებულების სისწორეზე. ჩვენ ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით ძირითადი საშუალებების აღნიშნული ნაწილის ღირებულების სისწორის დადასტურება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგების, ასევე სრული შემოსავლისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. კერძოდ: აღნიშნული მიზეზის გამო, ასევე ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა სხვა რაიმე სახის კორექტირებათა შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ გადაფასების რეზერვის მიმართ, რაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,454 ათას ლარს, ასევე ძირითადი საშუალებების და მათთან დაკავშირებულ ფინანსურ ელემენტებთან (დაგროვებული ცვეთა, ცვეთის ხარჯი, გადაფასების რეზერვიდან დაგროვებულ ზარალზე ცვეთის სხვაობის გადატანა ბასს 16-ის 41-ე პარაგრაფის შესაბამისად) მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკთხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-865011)

შპს „მოორ ეიბისი “ (SARAS-F-320544)

2024 წლის 25 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

Mikheil Abaiadze 01011010173

Digitally signed by Mikheil Abaiadze
Date: 2024.10.25 21:20:16

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
ფინანსური მდგომაროების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**9**	3,544	6,292
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	**8**	1,320	1,153
მარაგები	**7**	650	919
სულ მიმდინარე აქტივები		**5,514**	**8,364**
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	**6**	12	12
ძირითადი საშუალებები	**5**	24,061	15,572
არამატერიალური აქტივები		6	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		**24,079**	**15,592**
სულ აქტივები		**29,593**	**23,956**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**10**	1,559	1,771
გადავადებული შემოსავალი	**11**	2,916	5,573
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4,475**	**7,344**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**12**	14,274	10,096
დაგროვებული ზარალი		(1,758)	(1,938)
სხვა რეზერვი		3,734	-
გადაფასების რეზერვი		8,868	8,454
სულ კაპიტალი		**25,118**	**16,612**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**29,593**	**23,956**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**9**	3,544	6,292
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	**8**	1,320	1,153
მარაგები	**7**	650	919
სულ მიმდინარე აქტივები		**5,514**	**8,364**
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	**6**	12	12
ძირითადი საშუალებები	**5**	24,061	15,572
არამატერიალური აქტივები		6	8
სულ გრძელვადიანი აქტივები		**24,079**	**15,592**
სულ აქტივები		**29,593**	**23,956**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**10**	1,559	1,771
გადავადებული შემოსავალი	**11**	2,916	5,573
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4,475**	**7,344**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	**12**	14,274	10,096
დაგროვებული ზარალი		(1,758)	(1,938)
სხვა რეზერვი		3,734	-
გადაფასების რეზერვი		8,868	8,454
სულ კაპიტალი		**25,118**	**16,612**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**29,593**	**23,956**

David Zurabashvili 01008007219
Digitally signed by David Zurabashvili
Date: 2024.10.25 20:52:02

Nino Tcheishvili 35001044331
Digitally signed by Nino Tcheishvili
Date: 2024.10.25 21:01:53

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნები	**2023**	**2022**
შემოსავალი	**13**	17,233	16,173
სხვა შემოსავალი	**15**	898	790
სულ საოპერაციო შემოსავალი		**18,131**	**16,963**
შრომის ანაზღაურება		(11,417)	(11,054)
სამედიცინო საქონელი		(1,626)	(1,995)
დაცვა და ბადრაგირების ხარჯი		(1,307)	(1,081)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხაარჯი		(859)	(693)
იჯარის ხარჯი		(624)	(638)
პაციენტის კვება		(617)	(328)
ცვეთა და ამორტიზაცია		(594)	(547)
ჰიგიენის ხარჯი		(133)	(116)
საწვავი და ტრანსპორტირება		(116)	(166)
ოფისის საკანცელარიო ხარჯი		(100)	(55)
ოფისის და საკანცელარიო ხარჯი		(90)	(100)
საკონსულტაციო ხარჯი	**14**	(64)	(64)
საეჭვო ვალების ხარჯი		(30)	(63)
სხვა ხარჯი		(538)	(178)
ფინანსური შემოსავალი		-	279
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**16**	**164**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		**16**	**164**
სხვა სრული შემოსავალი		3,051	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		**3,067**	**164**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი .

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნები	2023	2022
შემოსავალი	13	17,233	16,173
სხვა შემოსავალი	15	898	790
სულ საოპერაციო შემოსავალი		**18,131**	**16,963**
შრომის ანაზღაურება		(11,417)	(11,054)
სამედიცინო საქონელი		(1,626)	(1,995)
დაცვა და ბადრაგირების ხარჯი		(1,307)	(1,081)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხაარჯი		(859)	(693)
იჯარის ხარჯი		(624)	(638)
პაციენტის კვება		(617)	(328)
ცვეთა და ამორტიზაცია		(594)	(547)
ჰიგიენის ხარჯი		(133)	(116)
საწვავი და ტრანსპორტირება		(116)	(166)
ოფისის საკანცელარიო ხარჯი		(100)	(55)
ოფისის და საკანცელარიო ხარჯი		(90)	(100)
საკონსულტაციო ხარჯი	14	(64)	(64)
საეჭვო ვალების ხარჯი		(30)	(63)
სხვა ხარჯი		(538)	(178)
ფინანსური შემოსავალი		-	279
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		**16**	**164**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		**16**	**164**
სხვა სრული შემოსავალი		3,051	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		**3,067**	**164**

David Zurabashvili 01008007219
Digitally signed by David Zurabashvili
Date: 2024.10.25 20:54:15

Nino Tcheishvili 35001044331
Digitally signed by Nino Tcheishvili
Date: 2024.10.25 21:03:04

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი .

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	**10,096**	**8,527**	**-**	**(2,166)**	**16,457**
რეზერვის შემცირება	-	(73)	-	64	(9)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	164	164
2022 წლის 31 დეკემბერი	**10,096**	**8,454**	**-**	**(1,938)**	**16,612**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	4,178	-	-	-	4,178
რეზერვის ზრდა	-	414	3,734	-	4,148
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	180	180
2023 წლის 31 დეკემბერი	**14,274**	**8,868**	**3,734**	**(1,758)**	**25,118**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
2022 წლის 1 იანვარი	**10,096**	**8,527**	**-**	**(2,166)**	**16,457**
რეზერვის შემცირება	-	(73)	-	64	(9)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	164	164
2022 წლის 31 დეკემბერი	**10,096**	**8,454**	**-**	**(1,938)**	**16,612**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	4,178	-	-	-	4,178
რეზერვის ზრდა	-	414	3,734	-	4,148
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	180	180
2023 წლის 31 დეკემბერი	**14,274**	**8,868**	**3,734**	**(1,758)**	**25,118**

David Zurabashvili 01008007219
Digitally signed by David Zurabashvili
Date: 2024.10.25 20:56:24

Nino Tcheishvili 35001044331
Digitally signed by Nino Tcheishvili
Date: 2024.10.25 21:04:11

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	17,210	16,148
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(20,358)	(15,843)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(3,148)**	**305**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(217)	(105)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	617	279
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული /(საქმიანობისთვის გადახდილი) წმინდა ფულადი სახსრები	**400**	**174**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**(2,748)**	**479**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 9)	6,292	5,813
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 9)	**3,544**	**6,292**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	17,210	16,148
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(20,358)	(15,843)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(3,148)**	**305**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(217)	(105)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	617	279
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული /(საქმიანობისთვის გადახდილი) წმინდა ფულადი სახსრები	**400**	**174**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**-**	**-**
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**(2,748)**	**479**
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 9)	6,292	5,813
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 9)	**3,544**	**6,292**

David Zurabashvili 01008007219
Digitally signed by David Zurabashvili
Date: 2024.10.25 20:59:32

Nino Tcheishvili 35001044331
Digitally signed by Nino Tcheishvili
Date: 2024.10.25 21:05:25

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 ოქტომბერი.

დავით ზურაბაშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ჭეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 10-30 გვერდებზე წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2012 წლის 21 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 404945164.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი, ხოლო საბოლოო მფლობელია საქართველოს სახელმწიფო.

საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის მთავარი საგანია მიღებული ლიცენზიების და ზემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სამედიცინო ექსპერტიზა.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ. N21ა. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე.

2019 წლის 4-ე კვარტალში კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრის, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით კომპანიას გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი”-სა და შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრი“-ს (ეს უკანასკნელი თავის მხრივ ფლობდა შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-ს სრულ წილს) 100%-იანი წილები. წილების აღიარება მოხდა კომპანიისათვის მოწოდებული ისტორიული ღირებულებით.

2020 წლის 27 იანვარს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორი კომპანია შეერწყა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დარჩა ერთი შვილობილი კომპანია შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“, რომლის 100%-საც ფლობს.

(ბ) *ბიზნეს გარემო*

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს ბასს 27 „*ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* “სტანდარტის მიხედვით. ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, კომპანიის და მის შვილობილ საწარმოებს შორის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 10 ”*კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*“სტანდარტის შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული შემთხვევებისა, რაც შესაბამისად არის ნახსენები.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცი დამრგვალებულია ათას ერთეულამდე.

(ე) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კომპანიის საბოლოო მფლობელი არის სახელმწიფო (შენიშვნა 1), რომელიც ჯგუფის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ამასთანავე, გათვალისწინებულია კომპანიის ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, არსებული გეგმები და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. ხელმძღვანელობის შეფასებით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ა) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში ცვეთის წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშულების ჯგუფი	*სასარგებლო პერიოდის ვადა*
შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5, 6 წელი
მიწა	არ იცვითება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ბ) არამატერიალური აქტივი

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(გ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.
თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(დ) ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია აღრიცხავს ინვესტიციას შვილობილ საწარმოებში თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს შვილობილი კომპანიის კაპიტალს მისი კომპანიისთვის გადმოცემის მომენტში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) იჯარები

კომპანია აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულება, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ, ითვალისწინებს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

კომპანია როგორც მეიჯარე

იჯარები, რომლებზეც კომპანია არ გადასცემს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნეს მოდელიდან და სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარად ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ზ) ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება ინდივიდუალურ მოგება ან ზარალში.

ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები (გაგრძელება)

ვადაგადაცილების დღეები	150-360 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	100%

(თ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ეკვივალენტში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

(კ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ლ) კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(მ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ნ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან კომპანია აღიარებს მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებელზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის გადაცემული მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურებისთვის, თვითდინებით მოსულლი პაციენტებისა და სახელმწიფო დაფინანსების გზით მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან: კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპსა და შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ნ) შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული შემოსავალი: კომპანია თანაგადახდიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპსა და შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

(ო) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(პ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისგან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(რ) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორ გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

(ს) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის

ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ტ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები შეფასების ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსის ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარ გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგი აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში- „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღეს კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელის გამოყენებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020

(უ) სხვა რეზერვი

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია უფლებას, უსასყიდლოდ მიღებულ ქონებაზე, აფასებს სამართლიანი ღირებულებით და ამავდროულად აღიარებს „სხვა რეზერვს“ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში უსასყიდლოდ მიღებული ქონების სამართლიანი ღირებულების ეკვივალენტი თანხით. სამართლიანი ღირებულების დადგენა ხდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. საწყისი აღიარების შემდგომ, უსასყიდლოდ მიღებული ქონების უფლების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია ამორტიზაციის ხარჯის დარიცხვას ახდენს წრფივი მეთოდით, უსასყიდლოდ მირებული ქონების პერიოდის განმავლობაში, ამავე პერიოდში აღიარებს „სხვა რეზერვის ამორტიზაციას“ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, ცალკე ფინანსური ანგარიშგების მუხლად, ამორტიზაციის ტოლი თანხით. ამორტიზაციის ხარჯი, ისევე როგორც სხვა რეზერვის ამორტიზაცია ხვდება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები და სამართლიანი ღირებულება

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების გადაფასების მოდელს. ძირითად საშუალებას, რომლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, კომპანია აფასებს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად ფასდება ძირითადი საშუალებების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისად მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძლება)

დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები ძალაშია წლიური პერიოდების განმავლობაში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ:

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად" - ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას

მოკლევადიანი ან გრელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ

4. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძლება)

შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღის მდგომარეობით, კომპანიას ადრეულად არ გამოუყენებია ახალი და შეცვლილი ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.

6. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია

	მიწა და შენობა-ნაგებოებები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი, 2021	**15,150**	**3**	**1,769**	**95**	**78**	**17,095**
შემოსვლა	-	-	125	-	1	**126**
31 დეკემბერი, 2022	**15,150**	**3**	**1,894**	**95**	**79**	**17,221**
ძირითადი საშუალებების ჩამოფასება	-	-	(9)	(8)	-	**(17)**
ძირითადი საშუალებების აფასება	2,615	-	497	76	25	**3,213**
შემოსვლა	5,364	-	461	50	36	**5,911**
გასვლა	-	(3)	(1,739)	(95)	(75)	**(1,912)**
31 დეკემბერი, 2023	**23,129**	**-**	**1,104**	**118**	**65**	**24,416**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2021	**-**	**(2)**	**(1,010)**	**(57)**	**(36)**	**(1,105)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(171)	(1)	(337)	(19)	(16)	**(544)**
31 დეკემბერი, 2022	**(171)**	**(3)**	**(1,347)**	**(76)**	**(52)**	**(1,649)**
გადაფასების შედეგად აკუმულირებული ცვეთის ამობრუნება	-	3	1,718	94	70	**1,885**
მიმდინარე წლის ცვეთა	(181)	(1)	(372)	(19)	(18)	**(591)**
31 დეკემბერი, 2023	**(352)**	**(1)**	**(1)**	**(1)**	**-**	**(355)**
31 დეკემბერი, 2022	**14,979**	**-**	**547**	**19**	**27**	**15,572**
31 დეკემბერი, 2023	**22,777**	**-**	**1,103**	**116**	**65**	**24,061**

2023 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები.
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული გირავნობით.

7. ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში

2019 წლის 4-ე კვარტალში კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრის, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით კომპანიას გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი”-სა და შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრი“-ს (ეს უკანასკნელი თავის მხრივ ფლობდა შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-ს სრულ წილს) 100%-იანი წილები. წილების აღიარება მოხდა კომპანიისათვის მოწოდებული ისტორიული ღირებულებით.
2020 წლის 9 იანვარს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორი კომპანია შეერწყა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დარჩა ერთი შვილობილი კომპანია შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“.
კომპანიის, მისი შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს 10 -ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ მიხედვით.

8. მარაგები

კომპანიის მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სამედიცინო საქონელი	641	913
სხვა მარაგები	9	6
სულ მარაგები	**650**	**919**

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,374	2,286
გადახდილი ავანსები	35	37
საეჭვო ვალების რეზერვი	(1,099)	(1,176)
სხვა დებიტორული დავალიანება	10	6
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	**1,320**	**1,153**

სავაჭრო დებიტორული დავალიანების და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**1,176**	**1,113**
წლის განმავლობაში რეზერვის გამოყენება	(77)	63
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,099**	**1,176**

კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სარეზერვო ანგარიში ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ კომპანია არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. კომპანიას სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3	11
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ეროვნულ ვალუტაში	3,541	6,281
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**3,544**	**6,292**

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.
კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

11. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	202	492
გადასახდელი ხელფასები	577	533
მიღებული ავანსები	174	162
გადასახდელი გადასახადები	109	116
ჯარიმები და საურავები	497	468
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**1,559**	**1,771**

12. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით მოიცავს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან“ მიღებულ თანხებს პაციენტთა მართვის ხარისხის გაუმჯობესებისა და სრულყოფილი სამედიცინო სერვისის მიწოდების მიზნებისთვის განსაზღვრული აღჭურვილობის შესაძენად.

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, რეზერვისგან და დაგროვილი ზარალისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წელს გაიზარდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 14,274 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 10,096 ათას ლარს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კონტრიბუციას. კომპანია ძირითადი საშუალებების გამოყენების პარალელურად ახდენს გადაფასების რეზერვის გადატანას დაგროვილ ზარალზე. ძირითადი საშუალებების გაუფასურების რეზერვი და სხვა რეზერვი გაიზარდა 4,148 ათასი ლარით.

14. შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან

ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლი 2023 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	12,764	12,104
ამბულატორიული მომსახურება	2,669	2,419
სტაციონარული მომსახურება	1,260	1,134
თვითდინებით მოსული პაციენტები (შიდა სტანდარტი)	365	238
საექსპერტო მომსახურება	151	225
სხვა შემოსავალი	24	53
სულ შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	**17,233**	**16,173**

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

15. საკონსულტაციო ხარჯი

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტის ხარჯებს, რამაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 64 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 64 ათასი ლარი).

16. სხვა შემოსავალი

2023 წლისთვის სხვა შემოსავლების არსებით ნაწილ შეადგენს მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ყსასყიდლოდ მიღებასა და საპროცენტო შემოსავალს.2022 წლისთვის სხვა შემოსავლების არსებითი ნაწილი შეადგენს მარაგებისა და ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება.

17. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2023 წლის დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანიარი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენსდანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებიარის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,544	6,292
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	2,384	2,292
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	**5,928**	**8,584**

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 10.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა დაფუძნებულია ერთი ფაქტორის ცვლილებაზე ყველა სხვა ფაქტორების მუდმივად შენარჩუნების ფონზე. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა რომ მოხდეს და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შესაძლოა იყოს კორელაცია - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში და ცვლილებები უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება არ არის მიბმული საპროცენტო განაკვეთს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2023	ლარი	ევრო	დოლარი	ჯამი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,544	-	-	3,544
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარეშე)	1,285	-	-	1,285
სულ ფინანსური აქტივები	**4,829**	**-**	**-**	**4,829**
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,559	-	-	1,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,559**	**-**	**-**	**1,559**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**3,270**			

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2022	ლარი	ევრო	დოლარი	ჯამი
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,292	-	-	6,292
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარეშე)	1,116	-	-	1,116
სულ ფინანსური აქტივები	**7,408**	**-**	**-**	**7,408**
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,771	-	-	1,771
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,771**	**-**	**-**	**1,771**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**5,637**	**-**	**-**	**5,637**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით. კომპანიის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობისაა.

31 დეკემბერი, 2023	ერთ წელზე ნაკლები	სულ
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,544	3,544
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარეშე)	1,320	1,320
სულ ფინანსური აქტივები	**4,864**	**4,864**
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,559	1,559
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,559**	**1,559**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**3,305**	**3,305**

17. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2022	ერთ წელზე ნაკლები	ლარი
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,292	6,292
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები (ავანსების გარეშე)	1,153	1,153
სულ ფინანსური აქტივები	**7,445**	**7,445**
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,771	1,771
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,771**	**1,771**
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	**5,674**	**5,674**

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი რესურსები. კომპანიის ფულადი რესურსები მეტია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასავლებზე.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2023 და 2022 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში:

	2023	2022
ხელმძღვანელობის ხელფასები	73	251

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენას, რომელიც საჭიროებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი”-ს ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში - ცენტრი/საზოგადოება) დაფუძნებულია სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის N1-3/292 ბრძანების საფუძველზე. საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი იყო სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ 2021 წლის 16 აპრილამდე, ხოლო 16 აპრილიდან მისი 100%-იანი წილის მმართველი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი (ს/ნ 402157330).

ცენტრის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქუჩა N 21 ა).

ცენტრი შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ და სს „ნარკოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შერწყმის საფუძველზე (სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის #1-3/292 ბრძანება). ამავე ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წესდება.

წესდების მიხედვით, საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანია მიღებული ლიცენზიების და ზემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, პროფილაქტიკა და რეაბილიტაცია, სადიაგნოსტიკო საქმიანობა, სამედიცინო ექსპერტიზა, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიისა და პარტნიორების ინტერესებს.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 404945164.

ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ 2023 წლის 08 თებერვლის N 1000395 4 23 00000003 ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ბორის თაყაიშვილი.

2017 წლის 12 სექტემბერს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 248424307) შერწყმა-მიერთება. (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის #1/1-2227 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის ბრძანებით #1/1-66 განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 231171148) შერწყმა-მიერთება და „ცენტრი“ განისაზღვრა მის უფლებამონაცვლედ.

ასევე, 2020 წლის 9 იანვარს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (ს/ნ 212693762) შერწყმა-მიერთება (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის #1/1-67 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 23 აპრილს 400 თანამშრომლით, „საზოგადოების“ საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ 2012 წლის ბოლოს გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა და მიაღწია 510 ადამიანს, ხოლო 2013 წლის ბოლოს დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 530.

2014-2015 წლებში, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, „ცენტრის“ მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ხარჯების შემცირების მიზნით, რამდენიმე რეორგანიზაციის გამოცხადების შედეგად შეემცირებინა დაქირავებულთა რიცხვი. 2014 წლის ბოლოს დაქირავებულთა რაოდენობამ შეადგინა 500 კაცი, ხოლო 2015 წლის ბოლოს ეს რიცხვი შემცირდა და გახდა 490 ადამიანი. 2016 წლიდან დღემდე საქმიანობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად მზარდია დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წელს 530 დასაქმებული იყო „ცენტრში“, 2017 წელს 560 ადამიანი, 2018 წელს 620, 2019 წელს 680, 2020 წელს 770, 2021 წელს 766, 2022 წელს 748, ხოლო დღეის მდგომარეობით 741 კაცი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია „საზოგადოებაში“ დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების წლიდან დღემდე.

აღსანიშნავია, რომ „ცენტრი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. „საზოგადოებაში“ დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება საქმიანობის სწორად წარმართვასა და გამართულ ფუნქციონირებაში.

შპს “ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ხელს უწყობს თანამშრომლების უწყვეტ განათლებას, კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლებას, როგორც სამედიცინო, ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით. სხვადასხვა ტრენინგებსა თუ შეხვედრებზე ხდება, როგორც გენერალური დირექტორის, ასევე დაქირავებული თანამშრომლების მივლინება, დაფინანსება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება მომწვევი ორგანიზაციის მიერ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში „ცენტრიდან“.

„ცენტრის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ შემდეგ ღონისძიებებს:

- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში თანამედროვე ნარკოპოლიტიკისადმი მიძღვნილი “პომპიდუ ჯგუფის” ტრენინგი;
- ქ. ოსლოში „პომპიდუ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში“;

- ქ. სტამბულში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „შეხვედრა მასალების მოსამზადებლად ნარკომანიის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში“
- ბელგიის ქალაქ ბრიუსელში საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი სამედიცინო საგანმანათლებლო და პრაქტიკული ინსტიტუციების რეიტინგისა და ხარისხების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული;
- გერმანიაში ქალაქ დაუნის ფსიქიატრიულ კლინიკაში „ტრენინგი სამუშაო ადგილზე“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ნარკოტიკებისა და ნარკომანიის ევროპის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიერ ორგანიზებული ექსპერტთა შეხვედრა;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკომანიის პრევენცია და მკურნალობა“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკოპოლიტიკის განვითარების, დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება”;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგის მეორე მოდული „ნარკოპოლიტიკის განვითარების დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება“;
- ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში „ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობისა და ზრუნვის მიდგომების (PARIS PACT Expert Working Group on Comprehensive Approach to Drug Treatment and Care)“ თემაზე, გაეროს ოფისის მიერ ორგანიზებული ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის სამუშაო შეხვედრა;
- ქ. თბილისში, „ნარკოდამოკიდებულების პროფილაქტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ დასკვნითი სესია;
- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში პროგრამის ფარგლებში „პირველადი პრევენციის ხელშეწყობა საქართველოში“ კონფერენცია;
- ქალაქ ბათუმში საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“;
- ქალაქ დუბაიში სამედიცინო განათლების განვითარების საერთაშორისო გამოფენა (Qardi international-2017);
- ჩინეთის ქალაქ პეკინში ჯანდაცვის ადმინისტრირების სემინარი;
- უკრაინის ქალაქ კიევში ევროკომისიის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი (“EU-ACT: EU Action against Drugs and Organized Crime“ – “ევროკომისია ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“) ;
- უკრაინის ქალაქ კიევში აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო შიდსის ფონდის ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის თაობაზე კონფერენცია - „ღიობების ამოვსება საკვანძო პოპულაციის უფლებები და ჯანმრთელობა“;
- უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში გედეონ რიხტერის მიერ ორგანიზებული სპიკეტების სამიტი;
- მალტაში ინფექციური დაავადებების გამოყენებით ეპიდემიოლოგიაში კონფერენცია;
- გერმანიის ქალაქ ბერლინში DGPP (German Associstion for Psychiathry, Psychotherapy and Psychosomatics) კონგრესი;
- რუმინეთის ქალაქ ტარგუ-მურეშში „პერსონალიზირებული მედიცინის მიღწევები“ კონფერენცია;
- საფრანგეთის ქალაქ პარიზში „კრეტეის“ უნივერსიტეტში სამედიცინო მიმართულების ფუნქციების გაცნობის (მათ შორის ფსიქიატრიული სერვისების) მიზნით;
- ამსტერდამში “პომპიდუ ჯგუფის” მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „გენდერული ასპექტების დანერგვა ნარკოპოლიტიკის პრაქტიკასა და მომსახურებაში“ ;
- სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ ორგანიზებული „მსოფლიო კონფერენცია 2019“;

- ნიდერლანდებში, ამსტერდამში შიდსის აღმოსავლეთ-დასავლეთის ფედერაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (AFEW International) ამსტერდამის ოფისის მიერ ორგანიზებულ „Bridging the Gaps" პროგრამის ფარგლებში გამართული ღონისძიება;
- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული პრობლემების პრევენციული ღონისძიების გატარების განხილვის მიზნით ექსპერტთა შეხვედრა;
- უკრაინის ქალაქ ოდესაში EU-ACT-ის დაფინანსებით გამართული კონფერენცია;
- ავსტრიის ქალაქ ვენაში სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი;
- დაბა კაჭრეთში ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"-ს მიერ განხორციელებული პროექტის (პროექტი მიმდინარეობდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით) „აღმოვფხვრათ ხარვეზები: მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და ჯანმრთელობის დასაცავად" ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა;
- ქ. ოსლოში „პომპიდუ ჯგუფის" მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში" და ა.შ.;

ასევე „ცენტრში" მუდმივად ხდება შიდა რესურსებით თანამშრომლების დატრენინგება და გადამზადება შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად.

„ცენტრის" მიერ განსაკუთრებულ პრიორიტეტებშია უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება, რის გამოც ჩამოაყალიბა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო ტექნიკური კომპეტენციების ზრდა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესება, ეფექტური საქმიანობისთვის საჭირო ფასეულობათა სისტემის შექმნა, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მოქმედი სისტემის ეფექტურობისა და სარგებლიანობის ამაღლება. პროფესიული განვითარების ცენტრში ტარდება ტრენინგების კურსი, როგორც ექიმებისთვის, ასევე საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალისთვის, პაციენტის უფლებების თაობაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და ა.შ.

2. ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" მონაწილეობას იღებს სახელმწიფო პროგრამების „ფსიქიკური ჯანმრთელობის", „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის" სხვადასხვა კომპონენტში და სხვა პროგრამებში. ასევე „ცენტრში" მომსახურება ხორციელდება დამტკიცებული შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით გაწეული სამედიცინო მომსახურებებია:

ა) ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა :

- ✓ „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია."
- ✓ „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში", მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა".
- ✓ „№2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა".
- ✓ „ნარკომანიის" პროგრამის ეფექტურობის შეფასების კომპონენტი.
- ✓ „ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება (აღმოსავლეთ საქართველოში)".
- ✓ „ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება (დასავლეთ საქართველოში)".

ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობა :

- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (დიდუბის რაიონი; ჩუღურეთის რაიონი; ვაკის რაიონი; კრწანისის რაიონი; მთაწმინდის რაიონი; საბურთალოს რაიონი; ისნის რაიონი; სამგორის რაიონი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 3 (სამი) მობილური გუნდის მეშვეობით (ვაკე, საბურთალო, სამგორის რაიონი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; მესტიის მუნიციპალიტეტი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2); საჩხერის მუნიციპალიტეტი; ჭიათურის მუნიციპალიტეტი; ვანის მუნიციპალიტეტი; სამტრედიის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2), ბაღდათის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (საჩხერის მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ქ. ქუთაისი და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (2/3); თერჯოლის მუნიციპალიტეტი (1/7); ტყიბულის მუნიციპალიტეტი (1/5); ამბროლაურის მუნიციპალიტეტი; ონის მუნიციპალიტეტი).
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“ (ქ. ქუთაისი).
- ✓ ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი).
- ✓ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (ქ. ქუთაისი).

გ) „სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“ (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი).

დ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს კუთვნილი სამკურნალო საშუალებების შენახვა (დაცვის მომსახურების თანხლებით) „ცენტრის“ მისამართზე - თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა.

„ცენტრის“ იურიდიულ მისამართზე - საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქ. N 21 ა) მდებარეობს ფსიქიატრიული (ამბულატორიული და სტაციონარული (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)) და ნარკოლოგიური (ამბულატორიული და სტაციონარული) განყოფილებები, ასევე ჩანაცვლებითი თერაპიის N 2 განყოფილება, სადაც პროგრამის სერვისს იღებდა 2022 წელს საშუალოდ 1330 ბენეფიციარი და ჩანაცვლებითი თერაპიის N 19 განყოფილება, სადაც 2022 წელს მკურნალობდა დაახლოებით 370 ბენეფიციარი. ამავე მისამართზე მდებარეობს „საზოგადოების“ სათაო ოფისიც. ქ. თბილისის ფსიქიატრიული კლინიკის ამბულატორიულ განყოფილებას აქვს ისანი-სამგორი-საგარეჯოს კაბინეტი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N-1-ში.

2022 წელს, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი განყოფილებებისა, "საზოგადოებას" ჰქონდა ჩანაცვლებითი თერაპიის შემდეგი განყოფილებები ქ. თბილისში:

1. ნინოშვილის ქ. N 60-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 1 განყოფილება, სადაც 2022 წელს ვემსახურებოდით პროგრამაში ჩართულ 1295 ბენეფიციარს;
2. რუსთავის გზატკეცილი N 18-22 -ში მდებარეობს N 7 განყოფილება, სადაც 2022 წელს პროგრამით მოსარგებლე დაახლოებით 930 ბენეფიციარი იღებდა მომსახურებას;
3. ქ. თბილისის, მ. ლაღიძის ქ. N 6-ში მდებარეობს N 8 განყოფილება, სადაც 2022 წელს მკურნალობდნენ დაახლოებით 1495 ბენეფიციარს;
4. ქ. თბილისის, გლდანის ა მ/რ, კორპ. 70-ის მიმდებარედ, ფართი N 4-ში, მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 9 განყოფილება, სადაც 2022 წელს მომსახურებას ვუწევდით პროგრამაში ჩართულ დაახლოებით 1390 ბენეფიციარს;
5. ქ. თბილისის, ქსნის ქ. N 4 -ში მდებარეობს N 10 განყოფილება, სადაც 2022 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 1405 ბენეფიციარს;
6. ქ. თბილისის, რ. ლაღიძის ქ. N 8-ში მდებარეობს N 14 განყოფილება, სადაც 2022 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 365 ბენეფიციარი;
7. ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 83/11-ში მდებარეობს N 16 განყოფილება, სადაც 2022 წელს ბენეფიციარების რიცხვი იყო დაახლოებით 1120;

2022 წელს, გარდა ქალაქი თბილისისა, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები გვქონდა ასევე რეგიონებში:

8. ქ. თელავში, ალადაშვილის ქ. N 2-ში მდებარეობდა N 3 განყოფილება, რომელიც 2022 წლის 17 ნოემბრიდან გადავიტანეთ მისამართზე - ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის ქ. N 76, სადაც პროგრამის სერვისით სარგებლობდა 2022 წელს დაახლოებით 440 ბენეფიციარი;
9. ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქ. N 1 ა-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 4 განყოფილება, რომელიც 2022 წელს პროგრამის ფარგლებში იღებდა საშუალოდ 490 ბენეფიციარს;
10. ქ. ფოთში, ლოლუას ქ. N 8-ში მდებარეობს N 5 განყოფილება, სადაც 2022 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 565 ბენეფიციარს;
11. ქ. ქუთაისში, დუმბაძის ქ. N 59 ა-ში მდებარეობს N 6 განყოფილება, სადაც ბენეფიციარების რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა დაახლოებით 1585-ს;
12. ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში მდებარეობს N 6 განყოფილების ზესტაფონის კაბინეტი, სადაც 2022 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 230 ბენეფიციარი;
13. საჩხერის რაიონის, სოფელ სხვიტორში, ივ. გომართელის ქ. N 17-ში მდებარეობს N 6 განყოფილების საჩხერის კაბინეტი, სადაც 2022 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 130 ბენეფიციარი;
14. ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში მდებარეობდა N 11 განყოფილება, რომელიც გადავიტანეთ სოფელ რუხში 2022 წლის ივნისის თვეში, რომელშიც 2022 წელს მკურნალობდა დაახლოებით 1050 ბენეფიციარი;
15. ქ. ქობულეთში, რკინიგზის სადგურის მოედნის ტერიტორიაზე მდებარეობდა N 15 განყოფილება, რომელიც 2023 წლის 12 აპრილიდან გადავიტანეთ მისამართზე - ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ. N 23, სადაც 2022 წელს ირიცხებოდა პროგრამაში დაახლოებით 520 ბენეფიციარი;
16. ქ. გორის, გ. ანწუხელიძის ქუჩა კორპ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილება, რომელშიც 2022 წელს მკურნალობდა დაახლოებით 335 ბენეფიციარი;

17. ქ. ბორჯომში, თორის ქ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილების ბორჯომის კაბინეტი, სადაც 2022 წელს პროგრამაში ირიცხებოდა დაახლოებით 220 ბენეფიციარი;

18. ქ. ბათუმის, ნიკო ჯაყელის ქ. N 44-ში მდებარეობს N 18 განყოფილება, სადაც 2022 წელს ირიცხებოდა დაახლოებით 1530 ბენეფიციარი.

ასევე „ცენტრს“ აქვს ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის პენიტენციურ დაწესებულებაში:

19. N 12 განყოფილება, N 8 პენიტენციურ სისტემაში, სადაც 2022 წელს ბენეფიციარების რიცხვი დაახლოებით იყო 605 კაცი;

20. N 13 განყოფილება, N 2 პენიტენციურ სისტემაში, სადაც მკურნალობდა 2022 წელს დაახლოებით 210 ბენეფიციარი;

2022 წელს რეგიონებში, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებების ბაზაზე, განყოფილებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გამოყენებით, „ცენტრს“ გააჩნია, ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილებები, საიდანაც გავცემთ ნარკოლოგიურ ცნობებს და მომხმარებლებს ვთავაზობთ სხვადასხვა ამბულატორიულ სერვისებს.

„ცენტრს“ აქვს შემდეგი განყოფილებები:

- თელავის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- გორის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ბათუმის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ფოთის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ზუგდიდის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ბორჯომის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ოზურგეთის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება.

2020 წლის 27 იანვრიდან, მას შემდეგ რაც „ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ, ის ახორციელებს ყველა იმ „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამას, რასაც ახორციელებდა ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. მის ბაზაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისის, ჩხობაძის ქ. N 20-ში, ჩამოყალიბდა „ცენტრის“ ფილიალი, ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკის სახელწოდებით. 2022 წელს აღნიშნულ კლინიკაში არის ფსიქიატრიული ავტორიზებული აფთიაქი, ამბულატორიული და სტაციონარული განყოფილებები, სადაც ბენეფიციარები იღებენ, როგორც სახელმწიფო პროგრამის სერვისებს, ასევე ხდება ცნობების გაცემა შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

2022 წელს „ცენტრს“ რეგიონებში გააჩნია ასევე შემდეგი ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილებები:

- იმერეთის რეგიონული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში.

დღევანდელი მდგომარეობით, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების “ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ ნაწილში, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ უკავია ბაზრის დაახლოებით 75 %-იანი სეგმენტი. აქედან, სახელმწიფო პროგრამის "სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს" „ცენტრს“ უკავია ბაზრის დაახლოებით 15%. ცენტრის კონკურენტებს ამ კომპონენტში წარმოადგენენ შემდეგი ორგანიზაციები:

1) შპს „სამედიცინო ცენტრი ურანტი“;
2) შპს „ჯ. ჭანტურიას სახელობის სამედიცინო ცენტრი“;
3) შპს „ნეოგენი“;
4) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
5) შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი;
6) შპს „კადუცეი“;
7) შპს „იმერმედი-იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი;
8) შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“;
9) შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“;
10) შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“.

აღნიშნული კომპანიები ქ. თბილისში ეწევიან, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნარკომანიის პროგრამების მომსახურებას, ასევე შიდა დაფინანსების წყაროს კუთხითაც წარმოადგენენ ცენტრის აქტიურ კონკურენტებს.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამების მიმართულებით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ უკავია ბაზრის დაახლოებით 13 %-იანი სეგმენტი. აქედან, სათემო ამბულატორიული კომპონენტის ნაწილში უკავია 31%, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში - 33%, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ნაწილში - 24%, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის კომპონენტის ფარგლებში - 21%, მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში - 12%. ამ მიმართულებით ცენტრის კონკურენტები არიან:

1) შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი",
2) შპს "აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი";
3) ააიპ „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია“;
4) შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი";
5) შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“;
6) შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“;
7) შპს „გორმედი“;
8) შპს „თელავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“;
9) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
10) შპს „სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“;
11) შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“;
12) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და ა.შ.

3. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ განვითარების გეგმები

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ დასახულ მიზნებს შორის, უპირველესია პაციენტებისთვის დროული და ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მიწოდება, საქმიანობის დივერსიფიკაცია და გეოგრაფიული არეალის მაქსიმალურად გაფართოება, რაც სასიკეთოდ აისახება დაწესებულების საქმიანობაზე და უფრო მეტად ხელმისაწვდომს გახდის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სამედიცინო სერვისს ქვეყნის მოსახლეობისთვის.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ პრიორიტეტებს შორის გახლავთ ჩანაცვლებითი თერაპიის განმახორციელებელი განყოფილებების რელოკაცია. „ცენტრის“ მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების ძიება საიჯარო თანხების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, ხოლო გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი მოხმარდება ქვედა რგოლის სამედიცინო პერსონალის ხელფასების ოპტიმალურ ზრდას. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები, კერძოდ, ჩანაცვლებითი თერაპიის N 16 განყოფილება, რომელიც მდებარეობდა ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 83/11-ში, 2023 წლის მარტში გადატანილია ლისის ტბის მიმდებარედ ლევან ჩარკვიანის ქ. N 10-ში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართზე უსასყიდლო უზუფრუქტით. აღნიშნული ქმედებით დაიზოგება საიჯარო თანხა დაახლოებით წლიური 65,000.00 (სამოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით. ასევე აქტიურად ვმუშაობთ ქ. თბილისის ნინოშვილის ქ. N 60-ში მდებარე ჩანაცვლებითი თერაპიის N 1 განყოფილების და ქ. თბილისის, ქსნის ქ. N 4 -ში მდებარე N 10 განყოფილების გადატანაზე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. ქ. ქობულეთში, ჩანაცვლებითი თერაპიის N 15 განყოფილება 2023 წლის 12 აპრილიდან გადავიტანეთ ახალ ლოკაციაზე - ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ. N 23, სადაც გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურული პირობები და დაცულია მოქმედი რეგულაციები.

დაგეგმილია ჩანაცვლებითი თერაპიის N 2 და N 19 განყოფილებების, რომლებიც მდებარეობს ქ. თბილისის ქავთარაძის ქუჩის ჩიხის N 2-ში, გადატანა ლისის ტბის მიმდებარედ უსასყიდლო უზუფრუქტით ლევან ჩარკვიანის ქ. N 10-ში, ხოლო გამოთავისუფლებული ფართი საშუალებას მოგვცემს, გაიზარდოს სტაციონარული განყოფილებების საწოლფონდი, რაც ასევე მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური, ისე სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, დასასრულ ეტაპზე გახლავთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მოლაპარაკების პროცესი, რომლის მიზანია ქ. ბათუმის ნიკო ჯაყელის ქ. N 44-ში არსებული ფართის პირველი სართულის ძირითადი ნაწილის გადმოცემა შპს “ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისთვის“, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილება, რომელიც განთავსებულია შენობის მესამე სართულზე, გადმოვიტანოთ პირველ სართულზე, რაც შექმნის უფრო კომფორტულ გარემოს ბევრი პაციენტისთვის, რომლებსაც ქრონიკული დაავადებების გამო უძნელდებათ მესამე სართულზე ასვლა შესაბამისი სერვისის მისაღებად. ასევე, შესაძლებელი გახდება, გაიზარდოს ნარკოლოგიური სტაციონარული განყოფილების საწოლფონდი თხუთმეტამდე, რომელიც ამჟამად გათვლილია ხუთ პაციენტზე. ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი დაწესებულების კონკურენტუნარიანობას ქვეყნის მასშტაბით და მოიტანს ხელშესახებ ბენეფიტებს, როგორც სახელმწიფო პროგრამიდან მიღებული შემოსავლებიდან, ასევე შიდა სამედიცინო სტანდარტებიდან.

იგეგმება მოცულობითი სამუშაოების ჩატარება „ცენტრის“ ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, ქ. ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკის სტაციონარული და ამბულატორიული განყოფილების კაპიტალური რემონტი. ასევე იგეგმება ქუთაისის ჩანაცვლებითი თერაპიის N 6 განყოფილების რელოკაცია გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის გარემოში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართზე, უსასყიდლო უზუფრუქტით. აღნიშნული ქმედებით დაიზოგება საიჯარო თანხა დაახლოებით წლიური 75,000.00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ მიერ „ცენტრისთვის“ გამოყოფილი საინვესტიციო თანხიდან.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან“ კოორდინირებული ღონისძიებების შედეგად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ მიიღო წვდომა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზასთან, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სანქციების დაკისრების რისკი. აღნიშნული სანქციები დაკავშირებული იყო სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ მიერ პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების საანგარიშო დოკუმენტაციის ინსპექტირების ეტაპზე გამოვლენილ შემთხვევებთან, როდესაც მედიკამენტი გაიცემოდა მოსარგებლის გარდაცვალების ან მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ, მესამე პირზე, რაც სააგენტოს მხრიდან განიხილებოდა „ცენტრის“ მიერ მომსახურების პირობების დარღვევის ფაქტად და დაწესებულება ჯარიმდებოდა თვიური ლიმიტის ოდენობის 2%-ით - 11,300.00 (თერთმეტი ათას სამასი) ლარით. 2022 წლის განმავლობაში ბენეფიციარის გარდაცვალების შესახებ დაგვიანებით ინფორმირების გამო „ცენტრი“ დაჯარიმდა 79,100.00 (სამოცდაცხრამეტი ათას ასი) ლარის, ხოლო მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დაგვიანებით ინფორმირების გამო - 56,500.00 (ორმოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარით. ჯამში სახელმწიფო პროგრამის აღნიშნულ კომპონენტში ჯარიმამ შეადგინა 135,600.00 (ასოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარი.

“ცენტრის“ მიერ შემუშავებულ იქნა და ამ ეტაპზე წარმატებით ფუნქციონირებს ელექტრონული პროგრამა, რომელიც აღრიცხავს სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული ჩამანაცვლებელი პრეპარატის ბრუნვას, რომელსაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ვაწვდით ბენეფიციარებს, ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს ასევე აღნიშნული პრეპარატის ნაშთის და მეტობის დათვლას. აქამდე ეს ხდებოდა ქაღალდის მატარებლის საშუალებით და მექანიკური დაანგარიშებით. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით პრაქტიკულად გამოირიცხა ადამიანური შეცდომების დაშვების ალბათობა, კერძოდ, ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო პირადი ნომრის, ან სამედიცინო ისტორიის ნომრის აკრეფისას, საპროცედურო ექთანს, რომელიც პასუხისმგებელია ჩამანაცვლებელი პრეპარატის გაცემის სიზუსტეზე, პროგრამა ავტომატურ რეჟიმში უჩვენებს ბენეფიციარის პირად მონაცემებს, მათ შორის ფოტოსურათს, დანიშნულ დოზას, პრეპარატის მიღების ცხრილს დღეების მიხედვით, გაცდენილი დღეების რაოდენობას და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით შეუძლებელი გახდა ბენეფიციარის მიერ ერთსა და იმავე დღეს განმეორებითი დოზის გაცემა, რადგან დოზის გაცემის შემდეგ გაცემა ავტომატურ რეჟიმში იბლოკება მეორე კალენდარულ დღემდე. ასევე ავტომატურ რეჟიმში ითვლება გაცემული პრეპარატის დღიური ხარჯი, რომელიც ავტომატურად გადაეცემა სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს“ შესაბამის სამსახურს ყოველი დღის ბოლოს. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით 3-ჯერ შემცირდა ერთი ბენეფიციარის მომსახურებისთვის საჭირო დრო, ვინაიდან პაციენტის გამოცხადებისას ჯერ უნდა მოძებნილიყო დანიშნულების ფურცელი, შემდეგ აღნიშნული ფურცლით პაციენტი შედიოდა ექიმთან ხელმოსაწერად, ხოლო ამის შემდეგ მიდიოდა საპროცედუროში ექთანთან დანიშნული პრეპარატის კუთვნილი დოზის მისაღებად.

მნიშვნელოვანია, რომ დასკვნით ეტაპზეა და უახლოეს ხანში სრული დატვირთვით ამუშავდება პაციენტის გასინჯვის ფურცლის (კურსუსის) ელექტრონული ვერსია. რამდენიმე განყოფილება უკვე წარმატებით იყენებს ამ ფუნქციას, რომლის უპირატესობა ის არის, რომ ზუსტად კანონმდებლობით დადგენილ დროსა და ვადებში ავტომატურ რეჟიმში მოხდეს კურსუსის გენერირება, ექიმის ხელმოწერითა და თარიღის მითითებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და ზოგავს რესურსს. გარდა ამისა, ზემოთ ხსენებული ორივე პროგრამა საშუალებას იძლება ჩანაცვლებითი პროგრამის ნებისმიერი პაციენტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნას ჩანაცვლებითი თერაპიის განმახორციელებელი ნებისმიერი განყოფილებისთვის, რომელსაც სტუმრის სტატუსით მიმართავს ბენეფიციარი. შესაბამისად, ყოველგვარი დოკუმენტების გადაგზავნის გარეშე განყოფილებას შეუძლია მოემსახუროს სტუმრად გამოცხადებულ პირს და გასცეს მისი კუთვნილი პრეპარატი.

„ცენტრის“ სამომავლო გეგმებს შორის არის და მიმდინარეობს მოლაპარაკება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან“, ასევე ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგთან“, რათა ამ უკანასკნელის მიერ „ცენტრისთვის“ გამოყოფილი საინვესტიციო თანხიდან, 2023 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“, შევიძინოთ მეთადონის ჩამოსასხმელი აპარატები, რაც მოგვცემს მნიშვნელოვან დანაზოგს, როგორც ფინანსური კუთხით, ასევე

ადამიანური რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეამცირებს სამედიცინო პერსონალის დატვირთვას და გააუმჯობესებს მიწოდებული სამედიცინო სერვისის ხარისხს.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა“ და სსიპ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის“ ერთობლივი გადაწყვეტილებით იგეგმება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ფსიქიატრიული სამკურნალო სტაციონარული დაწესებულების გახსნა, რომელიც გათვლილი იქნება 75 საწოლზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაგეგმვითი სამუშაოები ქ. რუსთავში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში. პროცესში აქტიურად არიან ჩართული სსიპ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის“, სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა“ და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წარმომადგენლები. აქედან „ცენტრი“ მიიღებს მნიშვნელოვან ფინანსურ სარგებელს. საწოლ ფონდის სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში წლიური შემოსავალი იქნება 3,558,750.00 (სამი მილიონ ხუთასორმოცდათვრამეტი ათას შვიდასორმოცდაათი) ლარი.

2022 წელს შიდა სტანდარტით ამბულატორიულ სერვისებზე გავზარდეთ ტარიფები, რაც დადებითად აისახა „ცენტრის“ შემოსავლებზე. გარდა ამისა, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგსა“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან“ კოორდინაციით იგეგმება „ცენტრის“ როგორც ფსიქიატრიულ, ასევე ნარკოლოგიურ სტაციონარებში სახელმწიფო პროგრამებისა და შიდა სამედიცინო სტანდარტების მომსახურების ტარიფის გადახედვა, რაც ასევე იქნება დამატებითი ფინანსური ბენეფიტის მომტანი.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისთვის“ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პაციენტთა კმაყოფილების ზრდა მიწოდებული არსებული სამედიცინო სერვისის სრულყოფისა და ახალი სერვისების დამატების გზით. იგეგმება ონლაინ-მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და დისტანციური სერვისების დანერგვა ვიზიტორებთან ურთიერთობების გასამარტივებლად და დროის რესურსის დასაზოგად.

მომავალშიც „ცენტრი“ გეგმავს მიმართოს თავის ძალისხმევა, რათა შეინარჩუნოს განვითარების დადებითი დინამიკა და ხელი შეუწყოს სახელმწიფო პროგრამების მაღალ დონეზე შესრულებას.

4. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2023	2022
შემოსავალი	17'233	16'173
სხვა შემოსავალი	898	790
სულ საოპერაციო შემოსავალი	**18'131**	**16'963**
შრომის ანაზღაურება	(11'417)	(11'054)
სამედიცინო საქონელი	(1'626)	(1'995)
დაცვა და ბადრაგირების ხარჯი	(1'307)	(1'081)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხაარჯი	(859)	(693)
იჯარის ხარჯი	(624)	(638)
პაციენტის კვება	(617)	(328)
ცვეთა და ამორტიზაცია	(594)	(547)
ჰიგიენის ხარჯი	(133)	(116)
საწვავი და ტრანსპორტირება	(116)	(166)
ოფისის საკანცელარიო ხარჯი	(100)	(55)
ოფისის და საკანცელარიო ხარჯი	(90)	(100)
საკონსულტაციო ხარჯი	(64)	(64)
საეჭვო ვალების ხარჯი	(30)	(63)
სხვა ხარჯი	(538)	(178)
ფინანსური შემოსავალი	-	279
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	**16**	**164**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის წმინდა მოგება / (ზარალი)	**16**	**164**

5. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს „ცენტრის“ სტარატეგიის მნიშვნელოვან საყრდენს და განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსალოდნელი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლის წინაშეც დგას შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „ცენტრის“ მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პროგრამების“ ზოგიერთ კომპონენტში, რომლის შემოსავალიც შემთხვევების რაოდენობაზეა მიბმული, არ შეცვლილა წლების მანძილზე ერთეული შემთხვევის ღირებულება, მაშინ როცა გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.

„ცენტრის“ სტაციონარში ნარკოლოგიური მიმართულებით, პაციენტთა მაღალი მომართვიანობის გამო, რისი უგულებელყოფაც დაკავშირებულია სოციალურ რისკებთან, ხშირ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომელსაც წარვადგენთ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში, მეტია სახელმწიფო პროგრამის კომპონენტზე გამოყოფილი თანხის თვიურ ლიმიტზე. კერძოდ, „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია“, ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები - შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“, შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“, შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“ და ა.შ., ვინც ახორციელებს ამავე პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან გაიზარდა იმ კომპანიების რაოდენობა, ვინც ამ სერვისს ახორციელებს, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესდა თვიური ლიმიტი, მაშინ როდესაც „ცენტრს“ უნაზღაურდებოდა შემოსავალი შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, რაც ასევე უარყოფითად ისახება „ცენტრის“ შემოსავლებზე.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო პროგრამის - „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“, წლების მანძილზე არ შეცვლილა დაფინანსება, მაშინ როცა ყოველწლიურად მზარდია პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა, რაც დამატებით ფინანსურ რესურსს მოითხოვს „ცენტრისგან“ და გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/ნ 404945164)
25 ოქტომბერი, 2024 წელი

5. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს „ცენტრის“ სტარატეგიის მნიშვნელოვან საყრდენს და განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსალოდნელი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლის წინაშეც დგას შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „ცენტრის“ მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პროგრამების“ ზოგიერთ კომპონენტში, რომლის შემოსავალიც შემთხვევების რაოდენობაზეა მიბმული, არ შეცვლილა წლების მანძილზე ერთეული შემთხვევის ღირებულება, მაშინ როცა გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.

„ცენტრის“ სტაციონარში ნარკოლოგიური მიმართულებით, პაციენტთა მაღალი მომართვიანობის გამო, რისი უგულებელყოფაც დაკავშირებულია სოციალურ რისკებთან, ხშირ შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომელსაც წარვადგენთ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში, მეტია სახელმწიფო პროგრამის კომპონენტზე გამოყოფილი თანხის თვიურ ლიმიტზე. კერძოდ, „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია“, ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები - შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“, შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“, შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“ და ა.შ., ვინც ახორციელებს ამავე პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან გაიზარდა იმ კომპანიების რაოდენობა, ვინც ამ სერვისს ახორციელებს, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესდა თვიური ლიმიტი, მაშინ როდესაც „ცენტრს“ უნაზღაურდებოდა შემოსავალი შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, რაც ასევე უარყოფითად ისახება „ცენტრის“ შემოსავლებზე.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო პროგრამის - „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“, წლების მანძილზე არ შეცვლილა დაფინანსება, მაშინ როცა ყოველწლიურად მზარდია პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა, რაც დამატებით ფინანსურ რესურსს მოითხოვს „ცენტრისგან“ და გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/ნ 404945164)
25 ოქტომბერი, 2024 წელი

David Zurabashvili
01008007219
Digitally signed by David Zurabashvili
Date: 2024.10.25 21:07:14